# ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №17
## 2015 წლის 6 აპრილი

## ქ. ყვარელი

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის №5 დადგენილებაში „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება ყვარლის მუნუციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის ( www.matsne.gov.ge 13/02/2015 წ. 040170050.35.164.016157) №5 დადგენილებაში „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის შესახებ“ და მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის ფორმები, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირობები“;

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** **ჯემალ შავერდაშვილი**